ახალი
განთიადი
„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

2020 წელი 31 იანვარი № 1 № 8154

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com

89-ე წელი თკვენთან ერთად!

სოფელ მეტეხში მაღალი ტექნოლოგიების კერამიკული პროდუქციის საწარმო შენდება

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხში ევროპული სტანდარტებისა და მაღალი ტექნოლოგიების კერამიკული პროდუქციის საწარმოს მშენებლობის პროექტი საპარტნიორო ფონდის, ესპანური კომპანია "კერამიკაელტორენტესა" და ამავე სახელწოდების ქართული კომპანია "კერამიკაელტორენტეს" მონაწილეობით ხორციელდება.

საწარმო სარგებლობს სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ფინანსური მხარდაჭერით, პროექტში ასევე, ჩართულია ბანკი "ქართუ".

მშენებლობისას კასპის რაიონში არსებული სააგურე თიხის კარიერები გამოიყენება.

კასპის ქარხანაში დანადგარების ტრანსპორტირება ესპანეთიდან იგეგმება.

ქარხნის ამუშავება მიმდინარე წელს იგეგმება. საწარმოში 50-მდე ადგილობრივი დასაქმდება.

სპეციალისტების ოთხი ესპანური ოჯახი საქართველოში ორი წლით საცხოვრებლად გადმოვა, რომ მოამზადონ ადგილობრივი პროფესიონალები და წარმოება ევროპული ტრადიციის სრული დაცვით წარიმართოს. ჯამში 10 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება იგეგმება.

სხვილოს ციხეზე გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო

კასპის მუნიციპალიტეტში მდებარე სხვილოს ციხეზე გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო.

ისტორიულ ძეგლზე გაწმენდითი სამუშაოების დაწყების პროცესს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ მერებაშვილი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე დაესწრნენ.

სხვილოს ციხის ტერიტორიის გაწმენდის პროექტი მოიცავს მიწის ფართობის გასუფთავებას ბიოსაფარის, მიწაყრილისგან და ჩამოშლილი ქვებისგან, რომელიც ადგილზე მრავალწლიანი პროცესის შედეგად წარმოიშვა.

გაწმენდითი სამუშაოები არქეოლოგიური ზედამხედველობის ქვეშ წარიმართება, რაც არქიტექტურულ კომპლექსზე არქეოლოგიური ფენების დაზიანების რისკს გამორიცხავს და პროცესის მიმდინარეობისას გამოვლენილ საკონსერვაციო არქიტექტურულ ფორმებს დაადგენს.

პროექტის მიმდინარეობა სააგენტოს დაფინანსებით წარიმართება, რომლის დასრულების შემდეგ სარეაბილიტაციო პროექტი მომზადდება.

ტერიტორიის გაწმენდისას საფორტიფიკაციო ნაგებობის სტრუქტურული წყობიდან ჩამოშლილი ქვები გადაეწყობა და კედლების კონსერვაციისთვის ხელახლა იქნება გამოყენებული.

სხვილოს ციხის რეაბილიტაციის პროექტი, არქიტექტურული კომპლექსის ინტენსიური ტურისტული ნაკადით დატვირთვის მიზნით, სამომავლოდ მის ინფრასტრუქტურულ მოწყობასაც გაითვალისწინებს. სარეაბილიტაციო ეტაპზე პროექტის განხორციელების მსვლელობაში ჩაერთვება ადგილობრივი თვითმმართველობაც.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

89-ე წელია ჩვენი გზეთი იწერება, ვგროვებდა, იბეჭდება რვიოლინა ალეოლინას, ხელმძღვანელობით ერთ ოჯახად ყვითელ ჭრიჭვნა, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეფერილ მოგონებებს ...

გზადით ჩვენი მეგობარი!

ბაბილო
განთიადი
ბაბილო
განთიადი
ბაბილო
ბაბილო
ბაბილო

"ახლი ახალგაზრდა მეწარმე"

კიდევ ორი გამარჯვებული კასპიდან

ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG), საქართველოში ახორციელებს USAID-ის "ZRDA" პროექტის რეგიონულ ახალგაზრდულ სამეწარმეო პროექტს, რომლის მიზანია, მეწარმეობის მეშვეობით საქართველოს რეგიონებში (სოფლად) მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერება.

პირველ საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა კასპელმა გიორგი ნიპარიშვილმა, რომელიც ქართულ - ხალხურ საკრავებს ამზადებს და დაფინანსდა 10000 ლარით.

პროექტის ფარგლებში, მეორე საგრანტო კონკურსში დაფინანსება კიდევ ორმა კასპელმა ახალგაზრდამ მოიპოვა. საკუთარი იდეების განსახორციელებლად თამაზ მცურავიშვილი 10000, ხოლო დიმიტრი ჩიჩუა 5000 ლარის ფარგლებში დაფინანსდებიან.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია ადგილზე ხელს უწყობს პროექტის განხორციელებას, რითიც ცდილობს ახალგაზრდებს ტრენინგების მიმდინარეობისას შეუქმნას საჭირო პირობა, რათა შეძლონ საკუთარი იდეების საფუძველზე გახდნენ ახალგაზრდა მეწარმეები, დაასაქმონ ადამიანები და სტიმული გაუჩინონ თანატოლებს.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს გიორგი ნიპარიშვილს, თამაზ მცურავიშვილს და დიმიტრი ჩიჩუას გამარჯვებას და წარმატებებს უსურვებს.

ახალგაზრდებო, 2020 წლის გაზაფხულზე გელოდებათ კონკურსის მესამე ეტაპი, იაქტიურეთ, გახდით ახალგაზრდა მეწარმეები - შექმენით საკუთარი ბიზნესი.

საზოგადოებრივი პროკურატურა

გორის რაიონული პროკურატურის ორგანიზებითა და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გორის რაიონული პროკურატურის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის წარმომადგენლები კასპის მოსახლეობას შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანი იყო მოსახლეობის ინფორმირების გაზრდა ოჯახში ძალადობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების თაობაზე.

შეხვედრის დასასრულს ინტერაქტიულ რეჟიმში გაიმართა დისკუსია და პროკურატურის წარმომადგენლებმა უპასუხეს მოსახლეობის მიერ დასმულ შეკითხვებს.

სასკოლო ინფრასტრუქტურული სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტში

კოდისწყარო

სოფელ კოდისწყაროში აქტიურად მიმდინარეობს 60 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები.

სკოლის მშენებლობას ახორციელებს მუნიციპალური ფონდის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ჯავა".

თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ და კეთილმოწყობილ სკოლაში, ახალი სასწავლო წლიდან გამყოფი ხაზისპირა სოფლებში მცხოვრები ბავშვები ისწავლიან.

სამუშაოების ღირებულება 1 123 577 ლარია.

წინარეხი

გრძელდება სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის მშენებლობა.

სკოლა 60 მოსწავლეზეა გათვლილი და მას შპს "ჯავა" აშენებს.

სოფელ წინარეხის ამჟამინდელი საჯარო სკოლა 1882 წელს საქართველოში წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსდა და მას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისათვის

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 1600-ზე მეტი სტუდენტის სწავლა 4 მლნ ლარით დაფინანსდება - 584 სტუდენტით მეტი წინა წელთან შედარებით.

პროგრამის ფარგლებში ფინანსდებიან გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, ონის, საჩხერის, წალენჯიხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტები.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დასაფინანსებლად გამოყოფილი ბიუჯეტი წელს, 2013-2014 სასწავლო წელთან შედარებით 3 მლნ ლარით გაიზარდა. 2013 წელს სახელმწიფომ 471 სტუდენტი დააფინანსა, წელს კი მათი რიცხვი 1600-ზე მეტია.

შეხვედრა მომავალში

კასპში მოქმედ სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდულ ცენტრ "მომავალში" საახალწლო ნაძვის ხე საზეიმოდ აანთეს.

ბავშვებს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა საახალწლოდ ტკბილეული და საჩუქრები გადასცეს.

ცენტრის ბავშვები განსაკუთრებით გაახარა ჯგუფ "ბანი"-ს მოულოდნელმა სტუმრობამ და კონცერტმა.

დალი კორკოლაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

გახდით ჩვენი მკითხველი!

ერთი დღე წარსულში

იმდენად ძველი, რომ სახელიც არ ვიცით...

მუზეუმები რომ ჩვენი ცხოვრების გზაჯვარედინია - ეს ყველას კარგად მოგვეხსენება. აქ წარსულისა და მომავლის გზაგასაყარზე ერთ დღეში შეიძლება საუკუნეების ამბავი გაიგო და შეიმეცნო.

ორიოდე წლის წინ ჯამბაკურ-ორბელიანთა გალავნის კედელთან ერთი პატარა, საინტერესო საგანი აღმოჩნდა. არქეოლოგებმა გაწმინდეს, შეისწავლეს და გვითხრეს, "თიხის საბეჭდავია" ძველი. წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეებს მიეკუთვნებაო; ე.ი. 2800 წლის წინ აქ, ამ მიწაწყალზე ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, სამშობლოს იცავდნენ.

ასეთ მნიშვნელოვან მოვლენებზე, ლამისყანის ისტორიულ წარსულზე, დიდებულ პიროვნებებსა და საზოგადო მოღვაწეებზე ისაუბრეს ლამისყანის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: მარიამ გურჩიანმა /მე-3კლ/, ანანო იორდანაშვილმა /მე-2კლ/, გიგი ქავთარაძემ /მე-3კლ/, თორნიკე პაიაშვილმა /მე-3კლ/, თინათინ ბალხამიშვილმა /მე-4კლ/, ნინი ქავთარაძემ /მე-5კლ/, მარიამ იორდანაშვილმა /მე-5კლ/, სალომე გამხიტაშვილმა /მე-6კლ/, ბექა ნაცვლიშვილმა /მე-6კლ/, საბა პაიჭაშვილმა /მე-6კლ/, გიორგი ფავლენიშვილმა /მე-6კლ/, ნინი ღვინიაშვილმა /მე-6კლ/, ნინა ჯამრიშვილმა /მე-10კლ/, დავით ბეინაშვილმა /მე-10კლ/, მალხაზ მასიკაშვილმა /მე-9კლ/, დემეტრე რაზმაძემ /მე-11კლ/, ქეთევან გიგაურმა, /წამყვანი /მე-11კლ/, ავთანდილ ბეინაშვილმა /მე-12კლ/.

ახალგაზრდები მუზეუმის მოხალისე მოსწავლეებად გაგვეცნენ და წარმოადგინეს "ერთი დღე წარსულში".

ესეც ლამისყანის ახალი ისტორიის საინტერესო ფურცელი აღმოჩნდა.

შეხვედრა მოამზადა ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის დირექტორმა სოფიო ფავლენიშვილმა.

ლამისყანაში უსახელო ადგილს თითქმის ვერ ნახავთ. ზედაველა, ოქროს აღმართი, ნატრეულა, ტოღანაურები, ბენისები, მახარებლის ღელე, ბარათაანთ ჭალები, გაწყვეტილები, ნათათრალები /აქ ეკლესიის ნანგრევები ისევ დგას/, და კიდევ მრავალი სხვა ლამისყანის ტოპონიმებია. თითოეულ მათგანს თავისი ისტორია აქვს.

თაობიდან თაობას გადაეცემა, რომ დიდი მეფე დავით აღმაშენებელი /1089-1125/ ყივჩაღებს ზედაველაზე წვრთნიდა;

დიდი მოურავი გიორგი სააკაძე /1570-1629/ თავისი ჯარით ზედაველაზე იდგა. ტოპონიმი "გაწყვეტილების" ისტორია დიდ მოურავს და ქსნის ომს უკავშირდება.

1625 წელს ქართველები მარაბდის ბრძოლაში დამარცხდნენ, მაგრამ გიორგი სააკაძეს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტია, მცირე რაზმებით პარტიზანულ ბრძოლაში გადავიდა და მტერს შიდა ქართლში შემოჭრის საშუალებას არ აძლევდა.

სპარსელთა სარდალმა ისა-ხან ყორჩიბაშმა თავისი ჯარიდან 12 ათასი კაცი გამოყო და თერგის ხეობაში არშის ციხის ასაღებად გაგზავნა, სადაც ქართველებს ანდუყაფარ ამილახვარი /გამაჰმადიანებული/ და მისი მეუღლე – ყორჩიბაშის ასული ჰყავდათ დატყვევებული. სპარსელებმა გაათავისუფლეს ისინი და ქსნის ხეობით თბილისში ბრუნდებოდნენ. როგორც პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს, გიორგი სააკაძემ ქსნის ვიწროების 15 კილომეტრიანი გზა ჩახერგა, ყოველ ნაბიჯზე მტრის წინსვლას აფერხებდა. "მოურავის ჯარები ყველგან ანადგურებდნენ სპარსელთა ჯარებს" /პ.ი./ გააფრთებული ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა.

ქსანი სისხლისფრად დიოდა. სპარსელთა 12 ათასიანმა არმიამ სასტიკი მარცხი განიცადა. მხოლოდ მცირე ნაწილმა ჩააღწია თბილისამდე. ყორჩიბაშს სიძე და ქალიშვილი მიჰგვარეს.

ქსნის იმ საოცარი ომის შემდეგ ლამისყანის ქსნის პირა ვრცელ ადგილს დღესაც "გაწყვეტილები" ჰქვია.

ჯამბაკურ ორბელიანთა სასახლის გალავანი XVII საუკუნეში აუგიათ.

კრწანისის ომის დროს, 1795 წელს, ავადსახსენებელი აღა-მაჰმადხანის მარბიელ ლაშქარს ლამისყანამდე მოუღწევია. ქსნის ხეობის დარბევა უნდოდათ, აქ მათ ერეკლე მეფის შვილიშვილი იოანე ბატონიშვილი დახვდათ მცირერიცხოვანი რაზმით, ყიზილბაშების 4000–ანი ჯარი დაამარცხა და უკუაქცია.

წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ, რომ ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე რწმენის, განათლების, კულტურის კერა იყო.

აღდგენილია წმ. გიორგის ეკლესია ადრე, ჩვენს წინაპრებს დედაღვთისმშობლის სახელზე ოთხი ეკლესია აუგიათ: ბენისის ღვთისმშობელი, აკვანი, ბრინჯაოს ღვთისმშობელი, ვარდისაღვთისმშობელი. კვირაცხოვლის ბაზილიკა. შავ ტყეში წმინდა ივლიტას ნიში, კიკოანთ ქედზე წმ. გიორგის ნიში, ზვილეთის ტყეში ეკლესიის ნანგრევები დგას – იმდენად ძველი, რომ სახელიც არ ვიცით.

XVII-XIX საუკუნეების ეპოქის სული ტრიალებს.

ბაგრატიონების, ერისთავების, ორბელიანების, ჯავახიშვილების, აბაშიძეების, ამილახვრების თუ სხვათა დასაყრდენი მუდამ გლეხები იყვნენ, გლეხის მხრებზე იდგა ჭეშმარიტად მართლმადიდებელი წინაპრები გვყოლია. დღეს კი, სამწუხაროდ, წმ. გიორგის ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე ათიოდე ლამისყანელი თუ დგას.

სასახლეში შალვა წამებულის შთამომავლები ცხოვრობდნენ. აქ ქვეყანა. აკი ბრძანა კიდეც არჩილ მეფემ: "გლეხი კაცი დაძაბუნდეს, საქართველო განდაქარდეს"- ო.

ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანმა უარი განაცხადა ყმების გამოსასყიდი ფულის აღებაზე, ადამიანებით არასოდეს მივაჭრიაო.

ლამისყანას ხშირად სტუმრობდა ვახტანგ ორბელიანი. უყვარდა სიძის მამულში ყოფნა. მაშინ ამ სასახლეში ბეკერის როიალი იდგა. ვახტანგი თავის ქალიშვილს მარიამს ხშირად აკვრევინებდა საყვარელ არიებს, განსაკუთრებით ოპერა "ნორმა" და ვებერის "მარში" უყვარდა. ევროპაშემოვლილმა ვახტანგ ორბელიანმა ლამისყანაში თქვა: "საქართველოსთანა ლამაზი არსად არაფერი მინახავსო".

1876 წელი...

პატრიოტი მამა-ბიძების გარემოში აღზრდილმა მარიამმა და მისმა მეუღლემ ალექსანდრე ორბელიანმა, რომელსაც იმ დროს ყველა საშიკო ლამისყანელად იცნობდა, ამ სასახლეში გახსნეს პირველი დაწყებითი სკოლა. "ანბანის თაიგულით" ასწავლიდა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი გლეხის შვილებს წერა-კითხვას, პატრიოტულ სულისკვეთებას ნერგავდა მათში.

ორბელიანები ხშირად მართავდნენ ლიტერატურულ საღამოებს, თეატრალურ წარმოდგენებს.

1877 წლის შობის საღამო დაუვიწყარი იყო ლამისყანელებისათვის, პირველად ნახეს საშობაო ნაძვის ხე. მხოლოდ ეს როდი იყო: ორბელიანებმა სოფელში სასმელი წყალი გამოიყვანეს, საფოსტო მომსახურებას ჩაუყარეს საფუძველი, მოწვეული ექიმით მკურნალობდნენ გლეხებს...

ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი მამულიშვილები იყვნენ ბაგრატიონებისა და ქსნის ერისთავების მემკვიდრე ჯამბაკურ-ორბელიანები.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი დაუღალავად ემსახურა სახალხო განათლების განვითარებას, ქვეყნის კულტურულ წინსვლას. იგი ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალბატონი გახლდათ. მორალითა და ზნეობითაც გამორჩეული იყო. მას სადედოფლო ქალს ეძახდნენ.

1913 წელი ...

ივანე ჯავახიშვილი ცოლ-შვილით ამ სასახლეში იმყოფება. ჯამბაკურ-ორბელიანების მდიდარ ბიბლიოთეკაში მან "ქართლის ცხოვრების" XV საუკუნის ხელნაწერი ნახა, შეისწავლა, გამოიკვლია და დაასკვნა, რომ ლამისყანაში აღმოჩენილი "ქართლის ცხოვრება" გადმოწერილია ლაშა-გიორგის დროინდელი ხელნაწერიდან.

უფრო ძველი "ქართლის ცხოვრება" ქართველებს არ გვაქვს.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

ანსამბლი „რკონი“

დეკემბრის ბოლოს კასპის კულტურის ცენტრში გამართულ საანგარიშო კონცერტზე, რომელსაც ესწრებოდნენ ჩვენი ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, დედაქალაქიდან მოწვეული სტუმრები, ქართული ქორეოგრაფიის თაყვანისმცემლები, მაყურებლის წინაშე განახლებული

პროგრამით გამოვიდა დომენტი მამულაშვილის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი “რკონი”. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ მაკა დათაშვილი, ხოლო ქორეოგრაფები არიან ნინო და ჯემო ხუროშვილები.

ანსამბლი “რკონი“ 1986 წელს დააარსა დომენტი მამულაშვილმა. ქალბატონი მაკა “რკონს” უკვე 15 წელია ხელმძღვანელობს.

ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს ქორეოგრაფიის კავშირისა და მოსწავლე ახალგაზრდობის, მეცნიერ, პედაგოგ, ქორეოგრაფთა გაერთიანება საქართველოს “ერთსულოვნების” გამართულ კონცერტებში. ანსამბლის მატიანეში გამორჩეულად იხსენებენ რიგაში გასტროლებს და მზად არიან ახალი გამოწვევებისათვის.

ჩვენ კი განსაკუთრებით გვინდა აღინიშნოს ის გამორჩეული პრაქტიკა, რომელიც დანერგეს მრავალი წელია - ანსამბლში მეცადინეობენ სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები, რა თქმა უნდა, არც ერთი მათგანი არ იხდის გადასახადს. შარშან ანსამბლის ხელმძღვანელი მაკა დათაშვილი “ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარის” ორდენის მფლობელი გახდა.

მოგეხსენებათ შემოქმედებითი პროცესი დროში გავრცობილია და მუდმივ ძიებას გულისხმობს. წლების განმავლობაში ანსამბლი თავისი გამორჩეული ხელწერით დაამახსოვრდა ჩვენს ქალაქს. ალბათ ამიტომ მართლაც მრავალრიცხოვანი მაყურებელი შეიკრიბა ახალი წლის დამდეგს “რკონის” საღამოზე კულტურის ცენტრში.

კონცერტზე შესრულდა ცეკვები: “დავლურ-ქართული” და “ოსური”, “ნარნარი”, “ფარცა”, “აჭარული”, “სამაია”, “ქალთა მთიულური”, “ქალ-ვაჟთა მთიულური” და “ლაზური”.

საანგარიშო კონცერტზე შედგა პატარა მოცეკვავეების დებიუტი, დიახ, ანსამბლის დამწყებმა მონაწილეებმა ძალიან მოინდომეს და თავი მოიწონეს მაყურებლის წინაშე, უფრო მეტის თქმაც შეიძლება, პატარა მოცეკვავეები დიდ სცენაზე თითქოს გაეჯიბრნენ კიდეც “გამოცდილ” შემსრულებლებს და მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობდნენ სამეჯლისო ცეკვების ცნობილი ჯგუფის / ხელმძღვანელი გიორგი მჭედლიშვილი/ “წეროების” მოცეკვავეები. საღამო კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადა საესტრადო ნომრებმა, მიხეილ ქოსაშვილის, ზაზა მენაბდიშვილის და სალომე მასიკაშვილის შესრულებით.

საინტერესო იყო ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლის /ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი/ გამოსვლა. საანგარიშო კონცერტს სტუმრობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამაზ ტატანაშვილი და მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, რომლებმაც გულწრფელად მიულოცეს ბავშვებს წარმატებული გამოსვლა და დადებითად შეაფასეს მათი შემოქმედება.

კონცერტის მონაწილეებს მიესალმნენ კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტი იზაბელა კობიაშვილი, ცეკვის აკადემია “დიდგორის” სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს მოცეკვავეების მშობლებმა: მარიკა მარგიანმა და ეკა კუსრაშვილმა, ლელა პატარიძემ და ციცი თოფჩიშვილმა, ეკა შეშაბერიძემ, ანი როსტიაშვილმა.

ამაღლებული, ძალიან შთამბეჭდავი იყო კონცერტის ბოლო ნაწილი, როდესაც სცენაზე ავიდნენ დედაქალაქიდან მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, განთქმული ქორეოგრაფი და წარსულში ლეგენდარული მოცეკვავე რეზო ჭანიშვილი /მანვე თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ “რკონის” სამხატვრო ხელმძღვანელი მაკა დათაშვილი წარდგენილია “ბრწყინვალების ორდენის” კავალერის ნომინაციაზე/. დამსწრე საზოგადოებას მიესალმა, მოცეკვავეებს მიულოცა წარმატებული გამოსვლა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ კახა მარკოიშვილმა.

სცენაზე გამოსულმა მაღალი რანგის სპეციალისტებმა შეაქეს კასპელი მოცეკვავეები, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ქართული ცეკვის შესწავლასა და პოპულარიზაციაში.

ანსამბლ “რკონის” მნიშვნელობასა და მის პოტენციალზე ისაუბრეს არტ ფოლკის, ქართული კულტურის ინსტიტუტის დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა, ქართული კულტურის დესპანმა მურმან გაბისონიამ, ორგანიზაცია “საქართველოს ერთსულოვნების” დამფუძნებელმა გიორგი კენკებაშვილმა, რომელმაც ანსამბლს საჩუქრად გადასცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ გამოგზავნილი სიგელი, სადაც უწმინდესი და უნეტარესი ლოცავს “რკონის” მოცეკვავეებს...

საანგარიშო კონცერტს უძღვებოდა ლია მენაბდიშვილი, შეხვედრა დასრულდა ლამაზი ფოიერვერკით.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

დაიბადა კავთისხევში...

აღიარებული ქართველი ლოტბარი, ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი, საქართველოს სახალხო არტისტი მარო თარხნიშვილი 1891 წლის 21 დეკემბერს დაიბადა სოფელ კავთისხევში... მის ოჯახში ყველა მღეროდა, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდნენ მარო და მისი 13 წლით უფროსი და ეკატერინე. მარო თარხნიშვილი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა მონდომებით, მუსიკალური ნიჭით. კავთისხევში სიმღერა არ დარჩა, მაროს რომ არ ესწავლა: "ჩვენი სოფლის გლეხობა მღეროდა მკის, ხვნისა და კალოობის დროს, ნათლობაში, ქორწილში, მე მათ ვუსმენდი და ვსწავლობდი" – იგონებდა მოგვიანებით ლოტბარი.

მარო თარხნიშვილმა თავისი პირველი სამოყვარულო გუნდი 13 წლის ასაკში ჩამოაყალიბა, რომელიც სულ ექვსი წევრისგან შედგებოდა. 14 წლის მარო ახალქალაქში გაათხოვეს დიმიტრი ზაალის ძე თარხან მოურავზე (თარხნიშვილები და თარხან-მოურავები გიორგი საakაძის შთამომავალთა სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები იყვნენ). დიმიტრი თარხან-მოურავი 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ დახვრიტეს... მარო თარხნიშვილმა პროფესიული მოღვაწეობა ძირითადად 19 წლის ასაკიდან დაიწყო. მან დასთან, ეკატერინესთან ერთად გორში ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი, რომლის რეპერტუარი ძირითადად ქართული ხალხური სიმღერებისგან შედგებოდა. დები შვიდი წელი მოღვაწეობდნენ გორში და ამ ხნის განმავლობაში მათ მრავალი კონცერტი გამართეს, რომელთა შორის უმეტესობა საქველმოქმედო იყო.

1917 წელს დები გადადიან თბილისში და გუნდს აყალიბებენ. მათ მონაწილეობა მიიღეს მოსკოვში გამართულ ეთნოგრაფიულ კონცერტზე. იმ ხანად მარო თარხნიშვილის ფოლკლორული ჯგუფი ითვლებოდა რესპუბლიკის ერთ-ერთ საუკეთესო მუსიკალურ კოლექტივად. 1933 წელს მოსკოვში გრამაფონის ფირფიტაზე ჩაიწერა მარო თარხნიშვილის მიერ შესრულებული მრავალი სიმღერა, სწორედ მაშინ, როდესაც იგი საგასტროლოდ იმყოფებოდა ამიერკავკასიის ხალხთა ოლიმპიადაზე და სწორედ აქ ღებულობს უმაღლეს ჯილდოს. 1935 წელს მარო თარხნიშვილი თავისი გუნდით ისევ გაემგზავრა მოსკოვში საკავშირო რადიო-ფესტივალზე, სადაც დიდი წარმატება ხვდა წილად. 1940-იან წლებში მარო თარხნიშვილის, ამჯერად, უკვე ანსამბლი 38 წევრს ითვლიდა. დიდი სამამულო ომის წლებში მარო თარხნიშვილის სახელოვანი გუნდი აქტიურად მართავდა კონცერტებს სამხედრო ჰოსპიტლებში, თავისი სიმღერითა და პატრიოტული გამოსვლებით ამხნევებდა მებრძოლებსა და ფრონტელთა ოჯახებს, ქართველ ჯარისკაცებს და არა მხოლოდ მათ სამშობლოს სიყვარულს უღვივებდა მის მიერ უნიკალურად შესრულებული სიმღერები: "ჭონა", "ბერიკაცი", "ნამგლური", ლეგენდარული "ოროველა" და "ურმული", განუმეორებელი "დაიგვიანეს", "კახური მრავალჟამიერი" ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ნიშანდობლივი გახლავთ ის ფაქტიც, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში მარო თარხნიშვილმა კასპში ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი, რომელიც წარმატებით მართავდა კონცერტებსა და შეხვედრებს, გუნდის რეპერტუარიდან სიმღერა "ზამთარი" განსაკუთრებით გამოირჩეოდა და მსმენელიც ძალიან მოიხიბლა, რადგან ეს სიმღერა საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც სრულდებოდა, მაგრამ მაროსეული შესრულების მანერა ყველასგან განსხვავდებოდა და გამოირჩეოდა. სახელოვანი ლოტბარის მარო თარხნიშვილის ნიჭის თაყვანისმცემელთა შორის იყვნენ ქართული მუსიკისა და ხელოვნების კორიფეები, დიდი ზაქარია ფალიაშვილი და მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი.

სხვათა შორის, დიმიტრი არაყიშვილის ინიციატივით მარო თარხნიშვილი პედაგოგად მიწვეული იყო სახელმწიფო კონსერვატორიაში და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა მრავალი წლის განმავლობაში.

სახელოვანი ქართველი მომღერალი მარო თარხნიშვილი 77 წლის ასაკში 1969 წლის 3 ოქტომბერს გარდაიცვალა, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ხელოვნის ხსოვნას მიეძღვნა

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინიციატივით ჩატარდა ერთობლივი ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი ხელოვანის მარო თარხნიშვილის ხსოვნას.

ღონისძიების დაწყებამდე მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოეწყო სახელგანთქმული მომღერლისა და ლოტბარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-დოკუმენტური მასალების გამოფენა და ჩვენება.

შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ საეკლესიო გალობის ლექტორი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენელი კასპში ეკატერინე ყაზარაშვილი და კასპის სალოტბარო სკოლის ლოტბარი ზაზა მენაბდიშვილი. შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა ღონისძიების ორგანიზატორმა, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა ნანა მერებაშვილმა.

კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობისა და ისტორიის წრის /ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი/ მოსწავლეებმა ქეთევან ჭალისურმა, საბა წინამძღვრიშვილმა, მარიამ თიგიშვილმა, ნანა ილურიძემ, მაია თაბუაშვილმა, მარიამ მერებაშვილმა, ნინო ბერუაშვილმა და მიხეილ სამხარაძემ ხატოვნად წაიკითხეს პატარ-პატარა ამონარიდები მარო თარხნიშვილის მოგონებებიდან, აგრეთვე, მათ მიერ დარბაზში გაჟღერდა გერისო კელაპტრიშვილის ლექსი "ხმა კავთისხევიდან". შემდეგ ეკა ყაზარაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ვიდეო-ჩანაწერები პირველი ლოტბარი ქალის შემოქმედებიდან და მოასმენინა მარო თარხნიშვილის მიერ შესრულებული დაუვიწყარი სიმღერები: "ურმული" და "დაიგვიანეს".

ძალიან დაამშვენა შეხვედრა კასპის სალოტბარო სკოლის /ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი/ მოსწავლეთა გუნდმა, რომელშიც სამი არაჩვეულებრივი გოგონა და ფოლკლორული სიმღერების მოყვარული ექვსი ბიჭუნა მღერის, ესენი არიან: მედეა მიგრიაული, ნატო ოდიშვილი, ლალი ბეჟიტაშვილი, გიორგი გაბისიანი, გიორგი ჯავახიშვილი, ამირან მელაძე, სანდრო ყაზარაშვილი, საბა ბეჟიტაშვილი და გუგა იაძე. მათ მარო თარხნიშვილის რეპერტუარიდან შეასრულეს ლეგენდარული "ურმული" და "დაიგვიანეს".

დარბაზში ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ აუცილებელია მომავალმა თაობამ იცოდეს იმ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომელსაც ქმნიდნენ მარო თარხნიშვილი და მისნაირი ადამიანები.

მიმდინარეობს უძველეს ხელნაწერებში დაცულ საგალობელთა შეკრება

კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში /მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი/ მხარეთმცოდნეობის წრის /ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი/ მოსწავლეების ინიციატივით მოეწყო ლექცია-საუბარი თემაზე: "სამუსიკო განათლების კერები საქართველოში." საინტერესო ლექცია-საუბრის მომხსენებელი გახლდათ მოწვეული სტუმარი, საეკლესიო მუსიკის სპეციალისტი, დოქტორანტი, მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, საეკლესიო გალობის ლექტორი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენელი კასპის მუნიციპალიტეტში ეკატერინე ყაზარაშვილი.

მოსწავლეთა სახლის პატარა დარბაზში თავი მოიყარეს მოსწავლეებმა და მშობლებმა, დარგის სპეციალისტებმა, პედაგოგებმა. ლექცია-საუბარი მიზნად ისახავდა იმ საკითხების განხილვასა და გაანალიზებას, რომლებიც ქართული, სამუსიკო განათლების, მათ შორის, რაც საეკლესიო გალობის სწავლების მიმართულებით მიმდინარეობს.

– ქართული საეკლესიო გალობა ერის ფასდაუდებელ საუნჯეს წარმოადგენს და უკვე ოც წელზე მეტია, მიმდინარეობს ძველი საეკლესიო პროფესიული მუსიკის აღდგენა, – აღნიშნა მომხსენებელმა თავის გამოსვლაში, – სხვათა შორის, ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს უძველეს ხელნაწერებში დაცულ საგალობელთა შეკრება და მოწესრიგება, გამოკვლევა და გამოცემა, საეკლესიო გუნდების ჩამოყალიბება.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ის ფაქტიც, რომ ქართული საგალობლების ტაძრებში დაბრუნების პროცესი პირდაპირ კავშირშია გალობის შესწავლის კერების არსებობასთან და ამდენად, ქართული გალობა ისწავლება ეკლესია-მონასტრებთან არსებულ და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გახსნილ საოლოტბარო სკოლებში, სახელმწიფო კონსერვატორიაში, მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლეს სასწავლებელში.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას ვიდეოჩანაწერების დახმარებით უჩვენა სასულიერო პირების მიერ შედგენილი საღვთისმსახურო, ლიტურგიულ-მუსიკალური კრებულები, აგრეთვე, ძველი საეკლესიო მუსიკალური ხელნაწერები, მათი შეკრება-გამოცემის ამსახველი ფოტოები, საეკლესიო გუნდები.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება

საახალწლო ზეიმი

ოცდათერთმეტ დეკემბერს, წლების გასაყარზე, საღამოს ექვს საათზე სააკაძის სკვერში აღმართულ ულამაზეს ნაძვის ხის გარშემო საახალწლო კონცერტზე შეიკრიბა უამრავი კასპელი თუ ქალაქის სტუმარი. მათ შორის პატარები, მოზარდები, ახალგაზრდები სჭარბობდნენ. ყველამ ერთად მოილხინა, სადღესასწაულოდ მორთულ მოედანზე სპეციალურად ბავშვებისთვის მოწყობილი იყო უფასო საბავშვო ატრაქციონები. ზღაპრული, შესანიშნავი განწყობა შეუქმნეს პატარებს და არა მარტო მათ, ანიმატორებმა და ჯადოსნური ზღაპრის გმირებმა, განუმეორებელმა თოვლის პაპამ.

საახალწლო ღონისძიება ღამის ათ საათამდე გაგრძელდა, მთელ ქალაქში ისმოდა გულშიჩამწვდომი, ნაცნობი ჰანგები, საახალწლოდ მორთულ სცენაზე ბენდთან ერთად, ცეკვა-თამაშის მონაწილე ბავშვები, მოზრდილებიც კარგად და განცხრომით ხალისობდნენ. მართლაც, რომ მხიარულად და იმედიანი განწყობით გააცილეს ძველი წელი და სამომავლოდ საუკეთესო სურვილები უსურვეს ერთმანეთს...

საახალწლო ღონისძიებას უძღვებოდა ციაკო ფიფია, უფასო საახალწლო საჩუქრები დაურიგდათ პატარებს. 2020 წლის შემობრძანება კასპში ულამაზესი ფოიერვერკით აღინიშნა.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

კასპის №2 საბავშვო ბაღში

საშობაო აქტივობების ღონისძიებები, რომელიც კასპის №2 საბავშვო ბაღში /ბაღის გამგე თამარ ხოკრიშვილი/ ჩატარდა, მუსიკალური და გასართობი პროგრამის გარდა, შემეცნებით ელემენტებსაც შეიცავდა... უფროს ჯგუფელებმა /მონაწილეობდა 30 აღსაზრდელი/ წარმოადგინეს შინაარსიანი, სახალისო და შთამბეჭდავი წარმოდგენა. საახალწლო სიმღერების, ლექსებისა და ცეკვების მომზადებაში ბავშვებს დაეხმარნენ ჯგუფის აღმზრდელი ნანა დალაქიშვილი და მისი თანაშემწე ლელა შალუტაშვილი, მუსიკის მასწავლებელი ნანა ზოტოვი, ძიძა ნათია ჩხაიძე, ნინო ბატკუაშვილი, მეთოდისტი ეკა ქარჩავა...

ბავშვებმა ძალიან ლამაზად, გულშიჩამწვდომად შეასრულეს "ალილო" და კიდევ რამდენიმე საახალწლო სიმღერა, აქტიურობდნენ ანკა აბულაძე და მარიამ პარკაძე, ლინდა ბრეგვაძე, არაჩვეულებრივად მოირგეს ჯუჯების როლი საგანგებოდ გამოწყობილმა ფილიპე ჯიქურმა და ზურა ცხენოსანიძემ. ღონისძიების ყველაზე საინტერესო ეპიზოდი გახლდათ თოვლის პაპის მოსვლა, ბავშვები მხიარულად შეხვდნენ ნანატრ სტუმარს და მასთან ერთად შეასრულეს " საახალწლო განდაგანა", ხოლო შემდეგი, უფრო დასამახსოვრებელი და მხიარული ნაწილი იყო საახალწლო საჩუქრების დარიგება.

დაბოლოს, აღსაზრდელებმა და ნატალია ტყემალაძემ ერთად შეასრულეს საფინალო სიმღერა.

ბაღის დამამთავრებელი ჯგუფის / აღმზრდელები: ელიზა ბაშარული და ირმა მილაძე, თანაშემწე თამარ ბაინდურაშვილი, ძიძა თათია სუბელიანი და ირინა მარქარაშვილი, მუსიკის მასწავლებელი ნანა ზოტოვი/ აღსაზრდელებმაც ძალიან მოინდომეს და საახალწლო ღონისძიებაზე ყველას დაამახსოვრეს თავი.

აქტივობა გახსნეს ზღაპრულმა ფერიებმა. მათი ცეკვის შემდეგ სცენაზე გამოვიდნენ მარიამ ქარქუსაშვილი და ნიკოლოზ ლაფაჩი, მოკლედ, დარბაზში არ წყდებოდა ოვაციები და მხიარული შეძახილები, მუსიკალურ ნომრებს ენაცვლებოდა მხატვრული კითხვა.

... ბოლოს, ჯგუფის აღმზრდელებმა ელიზა ბაშარულმა და ირმა მილაძემ ბავშვებთან ერთად შეასრულეს საახალწლო სიმღერა "ოცნებები აგხდენოდეთ პატარებო". მერე კი, ახალი წლის მოსალოცად პატარებთან მოვიდა თოვლის პაპა, რომელმაც საჩუქრები გაუნაწილა და ყველას ბედნიერი წელი უსურვა.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

გახლით ჩვენი მკითხველი!

საღესასწაულო შეხვედრები

ანსამბლი „ქართლი„ 15 წლისაა

გასული წლის 25 დეკემბერს კასპის კულტურის ცენტრში გაიმართა ჯავარ ნაჭყებიას სახელობის ბავშვთა სახალხო, სანიმუშო ქორეოგრაფიული ანსამბლ "ქართლის" შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ძველი და ახალი თაობის მოცეკვავეები, ერთი სიტყვით, იყო დაუვიწყარი, სიყვარულით აღსავსე, შემოქმედებითად დამუხტული საღამო, რადგან იგი ანსამბლის არსებობის 15 წლისთავს მიეძღვნა.

შეხვედრის ორგანიზატორი გახლდათ ანსამბლ "ქართლის" ხელმძღვანელი და ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარი ხათუნა გაგაძე. სპეციალურად ამ კონცერტზე მოწვეული იყო ყველასათვის საყვარელი ქართველი კომპოზიტორი ზურაბ ჩინჩალაძე, რომელმაც კასპელ მაყურებელს შესთავაზა მისი საუკეთესო სიმღერები.

საიუბილეო კონცერტში მონაწილეობდნენ ჩვენს ქალაქში კარგად ცნობილი შემსრულებლები ზაზა მენაბდიშვილი და მიხეილ ქოსაშვილი, რომელთა გამოსვლამ დიდი აპლოდისმენტები დაიმსახურა... კონცერტზე მოწვეულ სტუმართა შორის იმყოფებოდა ახალგაზრდა შემოქმედთა ფედერაციის თავმჯდომარე თემურ ტატიშვილი, რომელმაც ანსამბლის ხელმძღვანელს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი და წარმატებები უსურვა...

ანსამბლს იუბილე მიულოცეს და დადებითად შეაფასეს მოცეკვავეების თხუთმეტწლიანი მოღვაწეობა კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა და მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, კონცერტს ესწრებოდა კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი თათია თათრიშვილი, შეხვედრას უძღვებოდა ჟურნალისტი ბესო ჩუბინიძე... კონცერტის ბოლოს ანსამბლ "ქართლის" ხელმძღვანელმა ხათუნა გაგაძემ გამოაცხადა ფრიად საგულისყურო განცხადება იმის შესახებ, რომ ანსამბლის ფონდიდან ქველმოქმედება გაეწია ცხრა წლის შაკო დავითურს და ამჯერად კონცერტზე შემოსული თანხა მთლიანად გადაეცა ბავშვის ოჯახს.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ურჩხული, მზეთუნახავი, წითელქუდა...

ახალქალაქის №1 საბავშვო ბაღის ორივე სააღმზრდელო ჯგუფში საახალწლო აქტივობა თეატრალიზებული წარმოდგენით აღნიშნეს, საამისოდ კი, აღმზრდელ-მასწავლებლებმა თადარიგი ადრევე დაიჭირეს და ბავშვებს ზღაპრული სანახაობა გაუმართეს.

– აღმზრდელებმა წინასწარ მოიფიქრეს და კარგადაც დაგეგმეს, მოამზადეს ძალიან საინტერესო სცენარი, ისეთი, სადაც შეძლებისდაგვარად გამოავლენდნენ ბავშვები თავიანთ შესაძლებლობებსა და უნარს, – განაცხადა ბაღის გამგემ ქეთევან აბუაშვილმა, – ბავშვებს დაევალათ სხვადასხვა ქვეყნის ზღაპრების გმირების განსახიერება და ყველამ თვითონ მოირგო როლი, რომლის შესრულებასაც ადვილად მოახერხებდა.

აქტივობაზე წარმოდგენილი იყო ზღაპრები: "ურჩხული და მზეთუნახავი", "წითელქუდა", "ფიფქია და შვიდი ჯუჯა", "ნაცარქექია"... დიდი ჯგუფის წევრებს /5- 6 წლიანები/ ანუ "მანათობელის" წევრებს როლების შესწავლასა და მომზადებაში დაეხმარნენ აღმზრდელი მარინა მალაციძე და მისი თანაშემწე ლია ქანაშვილი, აგრეთვე, მუსიკის მასწავლებელი ნინო გეურქოვა... მოკლედ, "მანათობელის" წევრმა ზღაპრის გმირებმა საახალწლო კარნავალი ერთ ჯადოსნურ ტყეში გამართეს და ძალიან კარგადაც მოილხინეს, იცეკვეს, იმღერეს, ლექსები წაიკითხეს. თეატრალიზებული აქტივობა ძალიან ლამაზად დასრულდა, რადგან პატარების გასახალისებლად თავისი განუყრელი ხურჯინით მობრძანდა თოვლის პაპა, რომელსაც არც საახალწლო ნუგბარის მოტანა დავიწყნია და ბავშვებს გულუხვად გაუმასპინძლდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბაღის პატარა ჯგუფელების /2-3 წლიანი ბავშვები, ჯგუფის აღმზრდელი ცისანა ნავროზაშვილი, თანაშემწე მანანა ხორბალაძე/ "ბელურების" აქტივობაც. თქვენ წარმოიდგინეთ, დიდების მიმბაძველობით პატარებმა შესანიშნავად წარმოაჩინეს ყველა მოძრაობა და თოვლის პაპასაც "ღირსეულად" შეხვდნენ.

ტრადიციული, საშობაო დღესასწაული

ძველი წლის გაცილების ტრადიციული დღესასწაული ყოველთვის სასიამოვნო მოგონებად მოიაზრება ხოლმე საბავშვო ბაღის ყველა თაობის აღსაზრდელთა მეხსიერებაში, მაგრამ საშობაო აქტივობა, რომელიც ქალაქის მეოთხე საბავშვო ბაღში /გამგე დალი კოტეტიშვილი/ გაიმართა, მართლაც რომ გამორჩეული და განსხვავებული იყო თავისი შინაარსითა და ფორმატით, სანახაობრივად... აქტივობის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის აღმზრდელ-პედაგოგებმა, ბავშვებმა და მათმა მშობლებმა ძალისხმევა და მონდომება არ დაიშურეს... სანაქებოდ მორთულ და თვალისმომჭრელად გალამაზებულ დარბაზში თავს კომფორტულად გრძნობდნენ აღსაზრდელები, მათი მშობლები და მოწვეული სტუმრები.

... ულამაზესი იყო საკონცერტო დარბაზი, რომელსაც ამშვენებდა უდიდესი რუდუნებითა და გემოვნებით "შექმნილი" დარბაზის ჭერში მოთავსებული კაშკაშა /ხელოვნური/ მზე, და ეს ყველაფერი პატარების გულის გასახარად დიდი სიამოვნებით მოაწყეს ბაღის აღმზრდელ-პედაგოგებმა, რომელთა შორის არიან ნელი გორგაძე და მაია აბეწვაშვილი, ნაზი სეფაშვილი და მარიკა აბულაშვილი, ნინო ქებაძე და ლუიზა ბაინდურაშვილი, მანონი მარქარაშვილი და თინიკო დალაქიშვილი, მარტო აღმზრდელები და მასწავლებლები კი არა, ღონისძიების მომზადებაში ძიძები და მშობლებიც კი მონაწილეობდნენ.

აქტივობის მონაწილე /5-6 წლიანი/ ბავშვებმა წარმოადგინეს ევროპული ცეკვების საინტერესოდ მომზადებული ერთსაათიანი კომპოზიცია და თანაც ძალიან ლამაზად, რასაკვირველია, ემოსათ შესაფერისი სამოსი, რაც მთავარია, პატარებმა შესაშური მონდომებით მოახერხეს მუსიკალური და ქორეოგრაფიის და კიდევ სხვა უნარების გამოვლენა. ევროპული ცეკვების ნახვის შემდეგ ძალიან საინტერესო იყო აქტივობაში პატარა აღსაზრდელების /წარმოადგინეს ცანგალა და გოგონას საცეკვაო დუეტი/ ელენე გასიტაშვილისა და ნიკოლოზ ნონიაშვილის მონაწილეობაც.

საშობაო აქტივობას ესწრებოდა და

დასასრული გვ-8.

საშობაო აქტივობები

შობის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ერთმანეთის მიყოლებით, თითქმის ყველა ბაღში ჩატარდა სადღესასწაულო აქტივობები, რომლის მიზანი, რა თქმა უნდა, გახლდათ პირველ რიგში უნარების გამოვლენა და აღსაზრდელთა მოტივაცია, აგრეთვე, პატარების ერთად ყოფნის სიხარული...

– ჩვენ გვაქვს მზარდი რესურსი, მეტიც, ჩვენს საბავშვო დაწესებულებებში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ აღსაზრდელმა თავი იგრძნოს დაცულად, ლაღად, – აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, – ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი მიზანია კიდევ უფრო სრულყოფილი გახდეს, დაიხვეწოს სასწავლო-სააღმზრდელო, საგანმანათლებლო პროცესი, დიახ, ჩვენი პრიორიტეტია სკოლას მოვუმზადოთ ფიზიკურად ძლიერი, სათანადოდ მომზადებული და მოტივირებული ბავშვი. ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა საბავშვო დაწესებულებას, მათ ხელმძღვანელობას გულითადად ვულოცავ ახალი 2020 წლის დადგომას, ვუსურვებ წარმატებებს და უამრავ სიხარულს.

აი, სწორედ ამ სულისკვეთებითა და პათოსით აღინიშნა წლის ყველაზე გამორჩეული, მაგრამ ძალიან სახალისო აქტივობები, რომლითაც პატარებმა გააცილეს ძველი წელი, სიხარულით შეეგებნენ ახალ 2020 წელს...

ახალი სტანდარტების სრული დაცვით

კასპის №5 საბავშვო ბაღში დეკემბრის ბოლო დეკადა განსაკუთრებულ ვითარებაში წარიმართა სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ყველა ასაკობრივ ჯგუფში აღსაზრდელთა განვითარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებითა და ახალი სტანდარტების სრული დაცვით ჩატარდა წინასაახალწლო აქტივობა. ყველა ჯგუფის აქტივობა მოიცავდა მინი სპექტაკლს, სადაც წარმოდგენილი იყო მუსიკალური და საცეკვაო ნომრები... აქტივობების დაგეგმვაში ჩართული იყო ყველა აღმზრდელ-პედაგოგი, რა თქმა უნდა, პროექტის თემატიკიდან გამომდინარე, რეპეტიციებზე აქტიურობდნენ მუსიკის მასწავლებლები, მეთოდისტები, პროექტის მომზადებაში ჩართული იყვნენ აგრეთვე, მშობლებიც.

– მოგეხსენებათ, რომ ბავშვის ცნობიერების ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან იწყება და ამიტომ აუცილებელია, სავალდებულოც კი, რომ ბაღში პერმანენტულად მოეწყოს სხვადასხვა სახისა და დატვირთვის მქონე აქტივობა, – განმარტავს ბაღის გამგე ლალი მილაძე, – ამ მხრივ კი, ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და დატვირთვას იძენს საახალწლო ღონისძიება, რომელიც ტრადიციულად ჩვენს ბაღში განსაკუთრებული ენთუზიაზმით, ხალისით აღინიშნება.

აქტუალური, რეზონანსული და სანახაობრივი თვალსაზრისით შთამბეჭდავი იყო დამამთავრებელი /5 წლიანი ასაკის აღსაზრდელები/ ჯგუფის ბავშვების საშობაო აქტივობა... ჯგუფის აღმზრდელებმა თამუნა ნიპარიშვილმა და მაია ბაიდაურმა მოამზადეს საოცარი სცენარი, რომლის მიხედვით მოქმედება ხდება ახალი წლის წინა ღამეს, ერთი სიტყვით, ბავშვებმა თავიანთი ფანტაზიით, მოხერხებულობით ჯადოსნურ კარნავალზე მაყურებელი ერთობ გააოცეს და ფანტასტიურად წარმოადგინეს თოვლის პაპისა და თეთრი ფერიას ზღაპარი.

დამამთავრებელი ჯგუფის ბავშვებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ 4 წლიანი ასაკის აღსაზრდელები, რომლებმაც მოწვეული სტუმრებისა და მშობლების წინაშე წარმოადგინეს ულამაზესი წარმოდგენა. პატარა /აღმზრდელი მაია მაღლაფერიძე/ ფერიებმა,

დასასრული გვ-8.

ჰა, ბურთი და მოედანი

არაერთხელ გაიხსენებენ აქაურები და არა მხოლოდ ისინი 2019 წლის 24 ნოემბერს, ვინაიდან ეს თარიღი უთუოდ ერთგვარი სიმბოლური დატვირთვით შევა ჩვენი რაიონისა და ქალაქის სპორტული ცხოვრების მატიანეში.

დიახ, სწორედ ამ დღეს კასპში საზეიმოდ გაიხსნა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, არაჩვეულებრივი პროექტით ნაგები ახალი საფეხბურთო სტადიონი. ჩვენი ქალაქისათვის ამ მნიშვნელოვანი სპორტული ბაზის გახსნის დღეს უამრავი სტუმარი ეწვია კასპს, აქ იყო დიდი და წარმომადგენლობითი დელეგაცია დედაქალაქიდან, ლონისძიებას ესწრებოდნენ რეგიონისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი მუშაკები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, ვეტერანი სპორტსმენები...

კასპელი სპორტსმენებისათვის ეს იყო წლის ბედნიერი დასასრული, თამამად შეიძლება იმის თქმაც, რომ მარტო კასპის მუნიციპალიტეტში კი არა, ქვეყანაში გაჩნდა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი სპორტული ბაზა და ამჯერად, უკვე რეალობად იქცა ჩვენი მუნიციპალიტეტისა და მთელი ჩვენი საზოგადოების ხანგრძლივი მოლოდინი. ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი მეზურნიშვილის უდიდესი ძალისხმევით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურთა ორგანიზებით და კასპის მუნიციპალიტეტის მერის ხელშეწყობით მოხერხდა ამ საშვილიშვილო პროექტის დასრულება.

— გვაქვს უმაღლესი დონის, თანამედროვე სტანდარტებითა და ატრიბუტიკით აღჭურვილი საფეხბურთო სპორტული არენა, რომელიც გათვლილია 500 მაყურებელზე, განხორციელდა მასშტაბური პროექტი, რომლის ფარგლებში უდიდესი რუდუნებითა და მონდომებით შესრულდა სამშენებლო და აღდგენითი, სამონტაჟო სამუშაოები, — საუბრობს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, — დაიგო და კეთილმოეწყო ხელოვნურ საფარიანი მოედანი, დამონტაჟდა განათება, კეთილმოეწყო ხუთას მაყურებელზე გათვალისწინებული გადახურული ტრიბუნა, რომელიც დამშვენებულია პრესლოჟითა და შესაბამისი სტრუქტურებით.

როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, მაღალ დონეზე შესრულდა საფეხბურთო სკოლისა და სავარჯიშოდ განკუთვნილი მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც. ერთი სიტყვით, ახალი სპორტული არენა გახლავთ უეფას მეორე კატეგორიის საფეხბურთო დაწესებულება, რომელსაც მარტივად, უპრობლემოდ შეუძლია ნებისმიერი საერთაშორისო ასპარეზობის მასპინძლობა. რასაკვირველია, სიხარული დიდია, პირველ რიგში კი, ყველაზე მეტად მოტივაცია, იმედიანი განწყობა გაუჩნდათ იმ ახალგაზრდებსა თუ სპორტსმენებს, მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლების კოლექტივებში გაერთიანებულ მოზარდებს, ფეხბურთის ფანატებს, რომლებმაც უნდა გააგრძელონ ათეული წლების წინ დაწყებული საფეხბურთო ესტაფეტა.

— დარწმუნებული ვართ, ახლა უკვე მუნიციპალიტეტის ბევრად უფრო მეტ მსურველსა და გულანთებულ მოზარდს მიიზიდავს ახალი სტადიონი, აქ შექმნილი კომფორტული პირობები, — განმარტავს სპორტის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი ტარიელ ბეგლარაშვილი, — თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა მარტო მოზარდები კი არ მივლენ სტადიონზე სავარჯიშოდ, არამედ ჩვეულებრივი ადამიანებიც, ვისთვისაც პრიორიტეტულია ცხოვრების ჯანსაღი წესი, მოკლედ, აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სპორტით დაინტერესებულმა მოზარდმა, ახალგაზრდამ სხვაგან აღარ გაიხედოს.

არადა, დღეის მდგომარეობით კასპის მუნიციპალიტეტში საფეხბურთო სკოლები ფუნქციონირებს კასპში, ზემო ხანდაკში, ქვემო გომში, სასირეთში, თეზში, ლამისყანასა და სამთავისში. მათში გაერთიანებულია 250 მოზარდი...

მომავალი ფეხბურთელების დაოსტატებას ემსახურებიან მწვრთნელები: ავთანდილ, მალხაზ, ზაზა ჯალალები, შავლეგ მაჭარაშვილი, ვასილ დარახველიძე, ზურაბ ფეიქრიშვილი, ივანე ხითარიძე, ზურაბ ბეჟიტაშვილი, გიორგი ხოკრიშვილი, გიორგი ილურიძე, ვლადიმერ ბეინაშვილი, დავით კობაური. რა თქმა უნდა, ამიერიდან მწვრთნელებს ნამდვილად აღარ ექნებათ საწუწუნო და საფიქრალი, მეტიც, მათთვის შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ წარმატებული რეზულტატით გამოიჩინონ თავი. ყველას კარგად მოეხსენება ალბათ, დიდი ხნიდან მოყოლებული ფეხბურთის, სპორტის ამ უბრწყინვალესი სახეობისადმი აქაურების განსაკუთრებული ინტერესი და მისწრაფება, სხვათა შორის, ამ მხრივ რაიონი ყოველთვის ამაყობდა, თავს იწონებდა და ვარაუდობენ, რომ კასპის საფეხბურთო გუნდ "განთიადის" მრავალი თაობის მიერ შექმნილი ტრადიციები და მიღწეული სპორტული შედეგები კვლავაც თვალსაჩინო და საამაყო გახდება.

ჩეენს პატარა ქალაქში აღზრდილი ბევრი ფეხბურთელი დღესაც ხიბლავს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ფეხბურთის გულშემატკივრებს. არაერთმა სპორტსმენმა ასახელა ჩვენი სამშობლო, სწორედაც კასპში დაოსტატებული ბევრი ფეხბურთელი დღესაც გამოდის საზღვარგარეთის პრესტიჟულ გუნდში.

ახლა ჯერი თქვენზეა მოზარდებო, ახალი სტადიონი ახალი გამოწვევაა და კარგი შედეგების მოტანას ითხოვს. როგორც იტყვიან ხოლმე, — "ჰა ბურთი და ჰა მოედანი".

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

ტრადიციული, საშობაო დღესასწაული

დასასრული. დასაწყისი იხ.გვ 7.

დადებითად შეაფასა ბაღის მიერ მომზადებული საინტერესო პროექტი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა მანანა ხვთისიაშვილმა. ღონისძიებას სტუმრობდნენ გაერთიანების სპეციალისტები ნია ჯუხარიძე, ნათია მოსიაშვილი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტი იზაბელა კობიაშვილი.

ახალი სტანდარტების სრული დაცვით

დასასრული. დასაწყისი იხ.გვ 7.

რომლებიც გამოპრანჭული იყვნენ სადღესასწაულოდ, ბრჭყიალა მოსასხამებით, შეასრულეს სიმღერები და ცეკვები, მათ გვერდით ხალისობდნენ აგრეთვე, პატარა ჯგუფის "აქტივისტებიც".

სანახაობრივად ულამაზესი იყო სამწლიანი ჯგუფის / აღმზრდელები: ეკა ნიპარიშვილი და ეკა წიკლაური/ აქტივობაც, პატარებმა თოვლის პაპის მოლოდინში დამაჯერებლად შეასრულეს როლები და /წარმოდგენა სახელწოდებით "თოვლის დედოფალი"/ ყველას მოწონება დაიმსახურეს.

ბაღის ჯგუფმა /აღმზრდელები ლია მემარნიშვილი და ოლღა ლალიაშვილი/ წარმოადგინა მუსიკალური მინი სპექტაკლი "ცბიერი მელა და ცელქი კურდღელი". პატარები კარგად იყვნენ მომზადებული, აქტიურობდნენ, ხალისით შეასრულეს სიმღერები და ცეკვები, წაიკითხეს ლექსები... ყველას მოწონება დაიმსახურეს წინა სასკოლო ჯგუფის /აღმზრდელები: თინიკო თინიკაშვილი და ნანა ჯამალაშვილი/ ბავშვებმა, რომლებმაც შესანიშნავად შეასრულეს ცნობილი საახალწლო სიმღერა "შობა თენდება", საინტერესო იყო მათ მიერ შესრულებული ცეკვა "შობის ანგელოზები".

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" გახდით ჩვენი მკითხველი!

ოსკაროსანი „დიდგორი„

გასული წლის 22 დეკემბერს დედაქალაქის კულტურის ცენტრ "არტ-ჰოლში" ახალგაზრდა ქორეოგრაფთა ფედერაციამ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა ფოლკლორის ორდღიანი ფესტივალი სახელწოდებით – "ცეკვა ჩემი ცხოვრებაა", რომლის ორგანიზატორი გახლდათ თემურ ტატიშვილი. ამ საპასუხისმგებლო ფესტივალზე მიწვეული იყო კასპის მუნიციპალიტეტთან არსებული დავით ჯავრიშვილისა და რევაზ ჭოხონელიძის სახელობის ცეკვის აკადემია "დიდგორი".

– იცით ალბათ, რომ დიდგორელებს ხშირად უწევთ დიდ სცენაზე გამოსვლა, მაგრამ ამჯერად, ეს იყო ჩვენთვის განსაკუთრებული, მე ვიტყოდი ძალიან საპასუხისმგებლო მონაწილეობა, – საუბრობს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, – ამიტომაც მოვემზადეთ საგულდაგულოდ, მოცეკვავეებს ჰქონდათ თითქმის ყოველდღიური რეპეტიციები, თითოეული ნიუანსის დეტალურად განხილვა და ცხადია, შედეგმაც არ დააყოვნა, დიახ, "დიდგორმა" კვლავინდებურად ასახელა ჩვენი რეგიონი, მივიღეთ განსაკუთრებული ჯილდო.

ანსამბლი "დიდგორი" /მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფები: დარინა პაპაშვილი და იოსებ ღვინიაშვილი/ ფესტივალზე სამი ანსამბლით – "დიდგორი", "დიდგორი-2" და "დიდგორი-3" წარდგა, შესრულდა ცეკვები: "აჭარული", "პოპური" და "მთიელთა კაფია"... სხვათა შორის, ამ ფესტივალზე საპატიო სტუმრის სტატუსით მოწვეული იყო ლეგენდარული ქორეოგრაფის დავით ჯავრიშვილის ოჯახი, აქ იყვნენ დიდი ხელოვანის შვილიშვილები გია და ნინო ჯავრიშვილები, რძალი ნატა ჯავრიშვილი... როგორც ფესტივალის თვითმხილველები ყვებიან ანსამბლი წარდგენილი იყო განსაკუთრებულ ჯილდოზე, მაგრამ ამის შესახებ, ზუსტად არავინ იცოდა.

და, აი დადგა დაჯილდოების დროც და თითოეულმა დიდგორელმა მიიღო ოსკარის ოქროსფერი ქანდაკება (სულ 90) და ღვინის ბოთლი, რომელიც დამშვენებულია ფერად-ფერადი ეროვნული ჩოხით, აგრეთვე, მთიულური ქუდებით და კიდევ, ყველა მოცეკვავეს გადაეცა დიპლომი წარწერით: "საქართველოს ვარსკვლავები", ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისათვის ანსამბლი "დიდგორი" დაჯილდოვდა სპეციალური საჩუქრით – "ცეკვა ჩემი ცხოვრებაა"... სხვათა შორის, დაჯილდოების ცერემონიალზე ცნობილი გახდა ისიც, რომ ცეკვის აკადემია "დიდგორის" სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე არჩეულია საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედთა ფედერაციის საპატიო თავმჯდომარედ და დაინიშნა ამავე ფედერაციის კასპის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფთა წარმომადგენლად.

დაჯილდოების შემდეგ "დიდგორი" მიიწვიეს ტვ – პირველში /პროდიუსერი და წამყვანი მაია სტეფნაძე/ საახალწლო კონცერტში მონაწილეობის მისაღებად. ღელავდნენ მოცეკვავეები, რადგან მათ ესტრადის ცნობილ და აღიარებულ მუსიკოს-შემსრულებლებთან /სოფო და ბორის ბედიები, აჩი მეფარიძე, ოთო ნემსაძე, ბზიკები, ბასტი-ბუბუ და სხვები/ ერთად მოუწევდათ ეკრანზე გამოჩენა.

ყველაფერმა უპრობლემოდ ჩაიარა, მხოლოდ მცირე რეპეტიციის გავლის შემდეგ, დუბლის გარეშე მოხდა ჩაწერა, შემდეგ კი, უამრავმა მყურებელმა საკუთარი თვალით იხილა ეკრანზე დიდგორელთა "მთიელთა კაფია" და "აჭარული".

დასასრული. დასაწყისი იხ. "ახალი განთიადი" №12 2019 წელი.

9. ვენახი

ვენახი ქართველისთვის საკრალური ადგილია, რადგან საქართველოში ვაზი ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში ხარობდა. მკვლევართა უმეტესობა ერთსულოვნად აღიარებს საქართველოს ღვინის სამშობლოდ. ქსენოფონტე (ძვ. წ. 431 წ.) წერს, რომ საქართველოში მეტად კარგი ვენახები და ყურძნის უხვი მოსავალი ყოფილა, ხოლო დაწურულ ღვინოს ამოთხრილი მიწის სიღრმეში ჩაშენებულ ქვევრებში ინახავდნენ. დღემდე ამ მხრივ საქართველოში ბევრი არაფერი შეცვლილა. ქართველთა უმეტესობა საკუთარ (თუნდაც მცირე ფართობის) ვენახებს ფლობს და ღვინოსაც კვლავ ქვევრებში აყენებს. ვენახის მოვლა, რთველი, ღვინის დაწურვა ქართული ყოფის განუყოფელი ნაწილია. საუკუნის დასაწყისში საქართველოში კულტურული ვაზის ჯიშების რიცხვი 500-მდე აღწევდა. ბევრი მათგანი გადაშენდა, მაგრამ ქართველები დღეს მათ მოძიებაზე ზრუნავენ. შეიძლება ითქვას, რომ ღვინის სმა თითქმის ყველა ქართველს უყვარს, რადგან ეს სასმელი ზოგადეროვნული იდეის ნაწილია, რომლის გარეშე მათი ყოფა წარმოუდგენელია.

10. დაგვიანება

არავინ იცის ეს არასახარბიელო ჩვეულება ქართულ ყოფით კულტურაში როდის ჩამოყალიბდა -სავარაუდოდ, 1990-იანი წლების საყოველთაო უმუშევრობისა და ნიჰილიზმის პერიოდში, როცა ადამიანებმა თავიანთი შრომითი ფუნქცია დაკარგეს.

ზოგადად, დღესდღეობით ქართველების დიდ ნაწილს დილით ადრე ადგომა არ ეხალისება. პუნქტუალობაც არ არის მათ ხასიათში, ამიტომ გახსოვდეთ, თუ ქართველი შეხვედრაზე დააგვიანებს, ამ საქციელს პირად შეურაცხყოფად ნუ აღიქვამთ. ეს მათი სამწუხარო თვისებაა.

ქართველებს უყვართ ღამის ცხოვრება. ისინი დღის მეორე ნახევარში უფრო აქტიურები და შრომისუნარიანები არიან; გვიან მიდიან სტუმრად და ახლობელ-მეგობრებთან შუაღამის გადასვლამდე, ზოგჯერ გამთენიამდე რჩებიან. ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევა დილის ლექციებზე სტუდენტების დაგვიანებაც. ცნობილი ამბავია, რომ რამდენიმე წლის წინ სამხატვრო აკადემიის რექტორმა სწავლის დაწყების დრო დილის 9 საათიდან 10-ზე გადაიტანა, დაე, ბავშვებმა ცოტა მეტი იძინონო.

11. ქელეხი

ქელეხი ანუ ჭირის სუფრა, აღაპი, კიდევ ერთი არაორდინარული წეს–ჩვეულება, როგორსაც, სავარაუდოდ, სხვა ვერც ერთ ქვეყანაში ვერ შეხვდებით. ქელეხი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ (ზოგიერთ კუთხეში დასაფლავებამდე) იმართება და ძალიან მრავალრიცხოვანია, ისე რომ შეიძლება რაიმე სადღესასწაულო მასშტაბური წვეულება გეგონოთ. მასზე ხშირად ასეულობით ადამიანი იკრიბება და ეს მიცვალებულისთვის პატივის მიგების ფორმად მიიჩნევა. ქელეხის მენიუც ძალიან უხვია, არსებობს სავალდებულო კერძების ჩამონათვალიც კი, რომლის გარეშე ჭირის სუფრა წარმოუდგენელია (თვალსაჩინოებისთვის იხილეთ ჟურნალისტ ნინო კირთაძის მიერ ტელეკომპანია არტესთვის გადაღებული ფილმი - "უთხარი ჩემს მეგობრებს, რომ მოვკვდი"). ქელეხის გადაუხდელობა ან მასზე ფულის დაზოგვა სირცხვილად მიიჩნევა, თუნდაც ოჯახს მატერიალურად უჭირდეს და ვალის აღებაც კი დასჭირდეს. არსებობს შემოწირულობების სისტემაც, ე. წ. ფულის დადებაც, რომლითაც ოჯახს გასვენებაში მისული ხალხი ეხმარება. 2000-იან წლებამდე, სანამ ქელეხის რესტორანში გადახდის კულტურა დამკვიდრდებოდა, აღაპი მიცვალებულის სახლში იმართებოდა და კერძების მომზადებაში მთელი სამეზობლო-სამეგობრო-სანათესაო მონაწილეობდა. ეს ძალიან შრომატევადი სამუშაოა და სოფლებში ამგვარი ტრადიცია დღესაც შენარჩუნებულია. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა საქართველოში მატერიალური სიდუხჭირე დაიწყო, ქელეხმა ერთგვარი საქველმოქმედო ფუნქციაც შეიძინა - გემრიელი და მაწიერი კერძებით ადამიანთა დაპურების თვალსაზრისით.

11 სიტყვა, რომელითაც ვსრიდეთ ქართული ყოფითი ფოლკლორის წარმოდგენილია

მარინა ყიფშიძე

გამოინეხეთ „ახალი განთიადი„ გახდით ჩვენი მკითხველი!

ფოტო-მატიანე

„ხალხი განთიადი„ იძიებს სიბერეში სურვილებს რვიოლინის სვეტზეთი ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანამოელოებს - დადგეთ თქვენი ყვავილი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ განვლილი ცხოვრების ამსახველი, ისტორიის შემნახავი, წინაპრების ცხოვრების ამსახველი სიბერეში და ცხალოსთ ფოტოები! ერთად გავიხსენოთ როგორ ცხოვრობდნენ, როგორ ვცხოვრობდით ...

2020 წელი

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
ორშაბათი	6 13 20 27	3 10 17 24	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29
სამშაბათი	7 14 21 28	4 11 18 25	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30
ოთხშაბათი	1 8 15 22 29	5 12 19 26	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24
ხუთშაბათი	2 9 16 23 30	6 13 20 27	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25
პარასკევი	3 10 17 24 31	7 14 21 28	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26
შაბათი	4 11 18 25	1 8 15 22 29	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27
კვირა	5 12 19 26	2 9 16 23	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28

	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ორშაბათი	6 13 20 27	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28
სამშაბათი	7 14 21 28	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29
ოთხშაბათი	1 8 15 22 29	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30
ხუთშაბათი	2 9 16 23 30	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31
პარასკევი	3 10 17 24 31	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25
შაბათი	4 11 18 25	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26
კვირა	5 12 19 26	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება მ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. ქასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76